



სასწავლო ცენტრის მიზანი და ფუნქციები

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიზანია:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა;
- სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

სასწავლო ცენტრის ფუნქციებია:

- სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთათვის შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება;
- სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ტესტირება;
- ტრენერთა ჯგუფის ჩამოყალიბება და კოორდინირება;
- ტრენერთა პერიოდული გადამზადება როგორც მოწვეული სპეციალისტების მიერ, ასევე მომზადება და სტაჟირება საზღვარგარეთის ანალოგიურ სასწავლო ცენტრებში;
- მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შემუშავება, თარგმნა და გამოცემა;
- სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის განახლება და ფუნქციონირება;
- სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებთან, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა მათდამი დაქვემდებარებული პერსონალის მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით;
- ურთიერთობა და თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიურ სასწავლო ცენტრებთან, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს და ემსახურება სასწავლო ცენტრის მიზნების მიღწევას